ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N18

01 ივლისი 2019 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუქნტის „ფ“ ქვეპუნქტისა და "სოციალური დახმარების შესახებ"საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციის ფორმა (განაცხადი) დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3 დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე